ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3224255

ნომერი: AR1494727

თარიღი : 10.04.2017

გაცემის თარიღი : 25.04.2017

გაცნობის თარიღი : 25.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყალტუბო , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ,,ბონა დეა და კომპანია" კოდი: 404998320

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 აპრილის №AR1494727 განცხადებით მომართა მოქ. პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებით შეთანხმდეს: ქ. თბილისში, ქუჩა წყალტუბო, N24, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.13.04.020.043) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 24 მარტიდან 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვეულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ატვირთულ მასალებში შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმებში, მე-14 სართულის ექსპლიკაციაში გამორჩენილია საზაფხულო ფართობი, შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებაში თანდართული გეგმების 2017 წლის 10 აპრილის №AR1494727 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით ჩანაცვლებას.

სამსახურმა 2017 წლის 10 აპრილის №AR1494727 განცხადებით წარმოდგენილი პირველი სართულის საპროექტო გეგმა შეადარა 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ჩანაცვლდეს 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებაში თანდართული საპროექტო გეგმები, 2017 წლის 10 აპრილის №AR1494727 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3164298 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.